20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

16/10/2025 N 203

თბილისი

„შპს „აიტი სოლვერი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 8 ოქტომბრის N198 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „შპს „აიტი სოლვერი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 8 ოქტომბრის N198 განკარგულებაში და ამ განკარგულების:
   ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „შპს „კურსი.ჯი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“;
   ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. რეგისტრირებულ იქნას შპს „კურსი.ჯი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 405630973) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N4ა და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი ვგპ-0135445;

   2. შპს „კურსი.ჯი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილია განახორციელოს ვალუტის უნაღდო ფორმით გადაცვლის საქმიანობა;“;

2. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 8 ოქტომბრის N198 განკარგულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი;

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

მერაბ შალიკაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი

20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

08/10/2025 N 198

თბილისი

შპს „აიტი სოლვერი"-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის N36/04 ბრძანების საფუძველზე:

1. რეგისტრირებულ იქნას შპს „აიტი სოლვერი"-ს (მარკეტინგული სახელწოდება - „კურსი.ჯი") (საიდენტიფიკაციო ნომერი 405630973) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N4ა და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი ვგპ-0135445;
2. შპს „აიტი სოლვერი"-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილია განახორციელოს ვალუტის უნაღდო ფორმით გადაცვლის საქმიანობა;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი
პრეზიდენტის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი